ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №707861

ნომერი: AR1133309

თარიღი : 22.05.2013

გაცემის თარიღი : 27.05.2013

გაცნობის თარიღი : 27.05.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგურ "დიდუბის" მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დომენტი ფანჩულიძე პ/ნ 01007008699
- თბილისი ალ.მირცხულავას ქ. N 16 ბ. 26

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია შენობის ფასადზე სარეკლაო აბრის მოწყობა, ხოლო, რაც შეეხება ფირნიშის განთავსებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ ირკვევა აღნიშნული მდებარეობს თუ არა სს "დიდუბის ავტოვაგზალი"–ს საკადასტრო საზღვრებში. საჭიროა აიტვირთოს ტერიტორიის საკადასტრო გეგმა, საპროექტო ფირნიშის განთავსების ადგილის მონიშვნით. იმ შემთხვევაში თუ ფირნიშის განთავსება ხდება საკადასტრო საზღვრებს გარეთ, მოგახსენებთ, რომ 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შ.პ.ს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ შესაბამის ორგანიზაციას.

რაც შეეხება ფასადზე არსებული ჟალუზების დემონტაჟს, სამსახური აღნიშნულის განხორციელებას ვერ დაეთანხმება, ვინაიდან კონკრეტული პრეცენდენტი უარყოფით ზეგავლენას იქონიებს სარეკონსტრუქციო შენობის შემდგომი განვითარებისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ისარგებლოთ ნომენკატურის ცვლილების ღილაკით და ნომენკლატურაში აირჩიოთ მხოლოდ „აბრებისა და რეკლამების განთავსება“, მოთხოვნის შინაარსის ტექსტიდან ამოღებულ იქნას ჟალუზების დემონტაჟთან დაკავშირებული ინფორამცია და შესაბამისად წარმოდგენილ იქნას გაანხლებული ფოტომონტაჟი, რომელიც ატვირთული იქნება შესაბამის ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge